


## მონაცემთა ბაზის დაპროექტების მაგალითები

### მაგალითი 1. მონაცემთა ბაზის – „ბიბლიოთეკა“ დაპროექტება

შევქმნათ წიგნების კატალოგი, რომლითაც ისარგებლებს მომხმარებელი და მოძებნის კატალოგ-ში მისთვის საჭირო წიგნებს, გააფორმებს მოთხოვნას და მიიღებს ინფორმაციას იმ მაღაზიებზე, სადაც მას შეეძლება წიგნების ყიდვა. მან უნდა ჩატაროს ძიება წიგნის გატეგორიის, აგტორის და ფასის მიხედვით. წინასწარ შეგვიძლია დაგადგინოთ, რომ ამ ამოცანისთვის დაგჭირდება შემდეგი მონაცემები: მონაცემები წიგნებზე, ავტორებზე, დამკვეთზე, მაღაზიებზე და დაკვეთებზე. ეს ამოცანა შეიძლება რამდენიმე ქვემოცანად დავყოთ:


1. წიგნების ძიება კატალოგში;
  2. ავტორების ძიება კატალოგში;
  3. დამკვეთის მოთხოვნის რეგისტრაცია;
  4. ავტორების და წიგნების დაკავშირება;
  5. დაკვეთების შექმნა და გაფორმება (წიგნების შეტანა დაკვეთაში);
  6. მაღაზიების ძიება დაკვეთისთვის.
- ამ ამოცანების საწყის მონაცემებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ცნობები:
1. მონაცემები წიგნებზე;
  2. მონაცემები ავტორებზე;
  3. მონაცემები მაღაზიებზე;
  4. მონაცემები დამკვეთებზე;
  5. დამკვეთის მოთხოვნის მონაცემები.

ასეთი ობიექტები სისტემაში სულ ხუთი ჩანს: წიგნები, ავტორები, მაღაზიები, დამკვეთები, შეკვეთები. მათი კავშირები შეიძლება შემდეგი სქემით გამოვსახოთ:



სქემაზე გამოსახული კავშირები როგორ გაგმირები რებს წარმოადგენს და გამარტივება სტირდება. აქ აღნიშნული კავშირები „ბევრი-ბევრობა“ (ორმაგი ისრები ორივე მიმართულებით) აღნიშნულია წიგნებსა და ავტორებს, დამკვეთსა და მაღაზიებს, წიგნებსა და მაღაზიებს შორის. ავტორს შეიძლება რამდენიმე წიგნი ჰქონდეს დაწერილი, წიგნს კი –

რამდენიმე ავტორი ჰყავდეს; ასევე წიგნები შეიძლება სხვადასხვა მაღაზიებში იყიდებოდეს, სხვადასხვა მაღაზია კი სხვადასხვა წიგნს ყიდდებს; სხვადასხვა მაღაზიაში დამკვეთს შეუძლია წიგნი შეიძინოს, მაგრამ მაღაზიამ თავის მხრივ შეიძლება სულ სხვადასხვა დაკვეთები შეასრულოს. ასევე ნებისმიერი შეკვეთა ნებისმიერ წიგნს შეიცავს და, პირიქით, ნებისმიერი წიგნი შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა შეკვეთაში. როდესაც ასეთი კავშირები აღინიშნება, აუცილებელია მათი გამარტივება. გამარტივების გზა – ახალი ობიექტის შემოტანაა: წიგნებსა და ავტორებს შორის ობიექტი ავტორი-წიგნი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული წიგნის კონკრეტულ ავტორს; მაღაზიასა და დამკვეთს შორის - ობიექტი დაკვეთები; დაკვეთებსა და წიგნებს შორის – ობიექტი დაკვეთები-წიგნები; შეკვეთების შექმნა აგვარებს მესამე როგორ კავშირსაც წიგნებსა და მაღაზიებს შორის. დამატებითი ობიექტების შემოტანის შედეგად სქემა შემდეგ სახეს იღებს:



ობიექტების და მათი კავშირების ასეთი ანალიზის შემდეგ დგინდება, რომ სულ 7 ობიექტი იღებს მონაწილეობას სისტემის ამოცანების ამოხსნაში. ეს სქემა მონაცემების დაჯგუფების და მათ შორის კავშირების დადგენას ემსახურება. ძნელი არ არის იმის განსაზღვრა, რომ ასეთი სქემები მონაცემთა ბაზის ინფოლოგიური მოდელის საფუძველს წარმოადგენს. თუ ყოველივე ობიექტი შესაბამისი მახსასიათებლებით (რეკვიზიტებით) წარმოადგინეთ, მაშინ შემდეგ მოქმედებად მონაცემთა ბაზის დაპროექტებაში ბაზის მონაცემთა ერთიანი სტრუქტურა, ფაილების შემაღებნლობა და მათ შორის კავშირები უნდა განისაზღვროს. ამისთვის კი გამოიყენება ნორმალიზაციის პროცესი.

შეიძლება სხვანარადაც მოიქცეთ. ნორმალიზაციის პროცესი და რელაციური ცხრილების დადგენა შეიძლება დავიწყოთ მონაცემთა ელემენტების (ატრიბუტების) ერთიანი ცხრილის შედგენით და ამ ცხრილის ნორმალიზაციით ნორმალიზაციის პროცესის სამი ფორმის გავლით. მაგრამ, თუ წინასწარ ჩაატარებთ მონაცემთა ბაზის პროექტირების ეტაპებს და დაადგენთ მონაცემების ობიექტების ურთიერთკავშირის სქემას და ობიექტების მიხედვით შექმნით მათ აღწერას, მაშინ ნორმალიზაციის პროცესი გაცილებით გაადვილდება.

ჩვენი პირველი სქემის თანახმად სულ 5 ობიექტი უნდა შეიქმნას. ამოცანების ანალიზის თანახმად დადგენილია ყოველი ობიექტის შემაღებნელი ელემენტები. ქვემოთ მოცემულია ობიექტები და მათი შემაღებნლობა:

### ნორმალიზაციის საწყისი ფორმა

#### დაკვეთები

დამკვეთის სახელი	დაკვ- თის თარიღი	დაკვ- თის ფასი	დაკვეთის გა- დახდის მე- თოდი	საკრედიტო ბარათის ნომერი
---------------------	------------------------	----------------------	------------------------------------	--------------------------------

#### აგტორები

აგტორის გვარი	აგტორის მამის სახელი	აგტორის სახელი	გამო ცემა	აგტორის საფოსტო ინდექსი	აგტორის ელ.ფოსტა
------------------	----------------------------	-------------------	--------------	----------------------------	---------------------

#### დამკვეთები

დამკვეთის სახელი	დამკვეთის მისამართი	დამკვეთის ქაღაქი	დამკვეთის სა- ფოსტო ინდექსი	
დამკვეთის ქვეყანა	დამკვეთის ტელეფონი	დამკვეთის ფასი (სულ)	დამკვეთის გადახდის მეთოდი	დამკვეთის საკრედიტო ბარათის ნომერი

#### მაღაზები

მაღაზიის სახელი	მაღაზიის მისამართი	მაღაზიი- ქაღაქი	მაღაზიის საფოსტო ინდექსი	მაღაზიის ტე- ლეფონი
--------------------	-----------------------	--------------------	--------------------------------	------------------------

#### წიგნები

წიგნის დასახელ- ება	საცა- ლო ფასი	გამოცე- მის წელი	განხ- რა	ISBN	გვერ- დები	დის- კო	რაოდგ- ნობა შე- კვეთაში
გამომცემ- ლობა	გამოცემის ადგილი	გამოცემა					

ნორმალიზაციის პირველი ფორმა ითხოვს, რომ ობიექტის ყველა ატრიბუტი იყოს მარტივი, ობიექტი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ველებს, რომლებიც არსებულებისაგან არის მიღებული (გამოთვლით, განმეორებით) და ობიექტში რომელიმე (შეიძლება >1) ატრიბუტი უნდა წარმოადგენდეს გასაღების. ამისათვის შემოვტანოთ გასაღებები და ამოვიდოთ ზედმეტი ველები. ზედმეტ ველებად აღმოჩნდა ობიექტში დაკვეთები და დამკვეთები ვახსი (სულ) როგორც გამოთვლითი, რომელიც ითვლის შეკვეთის მოლიან ფასს; დაემატათ გასაღები-ველი თითოეულ ობიექტს შინაარსის შესაბამისად – დაკვეთის კოდი, აგტორის კოდი, წიგნის კოდი, დამკვეთის კოდი, მაღაზიის კოდი. ობიექტისთვის წიგნები გასაღებად მიჩნეულია ველი წიგნის კოდი, თუმცა შეიძლებოდა შეგვერჩია ველი ISBN, რომელიც წარმოადგენს თითოეული წიგნის უნიკალურ საერთაშორისო ნომერს და რომელიც ჩანაწერებში არ მეორდება.

ნორმალიზაციის მეორე ფორმა მიიღება პირველი სქემის გამარტივების შედეგად – მივიღეთ დამატებითი ობიექტები, რადგანაც ფუნქციური დამოკიდებულებების დადგენა დამატებით გასაღებებს და გარეშე გასაღებებს მოითხოვს.

ახლა დარჩა შევამოწმოთ, ხომ არ არის ტრანზიტული დამოკიდებულებები ობიექტის ატრიბუტებს შორის (ნორმალიზაციის მესამე ფორმა). ასეთი ატრიბუტები გვხდება ობიექტში წიგნები, ამიტომ ეს დამოკიდებულება იყოფა ორ დამოკიდებულებაზე: **წიგნები** და **გამომცემლობა**. დანარჩენი დამოკიდებულებები რჩება უცვლელი:

#### ნორმალიზაციის მესამე ფორმა

<b>დაკვეთის კოდი</b>	დამკვეთის კოდი	მაღაზიის კოდი	დაკვეთის თარიღი	დაკვეთის გადახდის მეთოდი	საქრედიტო ბარათის ნომერი
--------------------------	-------------------	------------------	--------------------	-----------------------------	-----------------------------

#### ავტორები

<b>ავტორის კოდი</b>	ავტორის გვარი	ავტორის სახელი	ავტორის მამის სახელი	გამოცე- მა	ავტორის საფოსტო ინდექსი	ავტორის ელ. ფოსტა
-------------------------	------------------	-------------------	----------------------------	---------------	-------------------------------	-------------------------

#### დამკვეთები

<b>დამკვეთის კოდი</b>	დამკვეთ- ის გვარი	დამკვეთის სახელი	დამკვეთის მამის სახელი	დამკვეთის მისამართი
დამკვეთის ქალაქი	დამკვეთის საფოსტო ინდექსი	დამკვეთის ქვეყანა	დამკვეთის ტელეფონი	
დაკვეთის გადახდის მეთოდი	დაკვეთის საქრედიტო ბარათის ნომერი	ქვეყანა		

#### მაღაზიები

<b>მაღა- ზიის კოდი</b>	მაღა- ზიის- სახელი	მაღაზი- ის მისა- მართი	მაღაზი- ის ქა- ლაქი	მაღაზიის საფოსტო ინდექსი	მაღაზი- ის ტე- ლეფონი	ელ. ფოს- ტა

#### წიგნები

<b>წიგნის კოდი</b>	წიგნის დასახე- ლება	საცა- ლო ფასი	გამოცე- მის წელი	განხრა	ISBN	გვერ- დები
დისკო	გამომცე- მლობა	გამოცემის ადგილი				

#### გამომცემლობა

<b>გამომცემლობა</b>	ქალაქი
---------------------	--------


#### დაკვეთა-წიგნი

<b>დაკვეთის კოდი</b>	<b>წიგნის კოდი</b>	რაოდენობა
დაკვეთის კოდი	წიგნის კოდი	დაკვეთა-ში

#### წიგნი-ავტორი

<b>ავტორის კოდი</b>	<b>წიგნის კოდი</b>
-------------------------	------------------------

საინფორმაციო სიტემის – „ბიბლიოთეკა“ მონაცემთა ბაზის სტრუქტურული სქემა:



## დამატებითი ლიტერატურა

1. ც. ჯაფიაშვილი. მონაცემთა ბაზების დაპროექტრება და მართვა/დამხმარე სახელმძღვანელო.- თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 113-133.
  2. კებ-გერდი [www.economics.tsu.ge/mmfid](http://www.economics.tsu.ge/mmfid), მონაცემთა ბაზები.



კონსულტაციისთვის ისარგებლეთ მისამართით:

1. [Tzira@rocketmail.com](mailto:Tzira@rocketmail.com)
  2. ተሸጋ, ልጂዕወልምዎችና ፍል ክፍናዎች ጥሩሚሸጥል የሚሸጥ በመከራከል

